დადგენილება № 91/2020 - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ

დადგენილება № 91/2020
15 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 დეკემბრის № 43 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე „საშემსრულებლო ხელოვნება“ მიღება გამოცხადდეს შემდეგ სპეციალობებზე:
   1.1. სოლო ფოტეპიანო;
   1.2. საორკესტრო სიმებიანი საკრავები (სპეციალობები: ვიოლინო, ალტი, ვიოლონჩელო);
   1.3. საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები (სპეციალობა : კლარნეტი)
   1.4. აკადემიური გუნდის დირიჟორობა;
   1.5. აკადემიური სიმღერა.
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიიისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე მიღება გამოცხადდეს:
   2.1. სადოქტორო პროგრამაზე ,,კომპოზიცია“;
   2.2. სადოქტორო პროგრამაზე ,,სამუსიკისმცოდნეო კვლევები“ (სპეციალობები: მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, საეკლესიო მუსიკოლოგია, ეთნომუსიკოლოგია, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია);
3. ზემოთ აღნიშნულ სპეციალობებზე მიღება ცხადდება მისაღები ადგილების რაოდენობის მითითების გარეშე;
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების ჩატარება დაიშვას როგორც ფიზიკური, ისე ონლაინ ფორმატით (ონლაინ-რეჟიმში ჩაბარების ან ჩანაწერის გაგზავნის გზით);
5. დოქტორანტურაში ჩაბარებისას უცხოური ენის გამოცდისგან თავისუფლდება პირი:
   5.1. რომელიც მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად წარადგენს უცხოური ენის არა ნაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო აღიარების მქონე (TOEFL, IELTS, CAMBRIDGE) ან შეფასებისა და გამოცდების ერონული ცენტრის მიერ გაცემულ სერტიფიკატს;

5.2. რომელსაც შესაბამისენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აქვს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი;

6. დადგენილება დაეგზავნოს ორივე ფაკულტეტის დეკანებს, სასწავლო დეპარტამენტს, ორივე ფაკულტეტის მიმართულებათა ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს;
7. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
8. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
9. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე